№ 2. 15 (27) იანვარი 1871 15 (27) იანვარი № 2.

ეროვნული

გაზეთის ფასი

| თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
| --- | --- | --- |
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ერთის თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — გ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან გაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

ხელის—მოწერა „დროებაზე“ შეიძლება

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლში.

ქუთაისში — გერასიმე ქალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლუარსაბ ლოლუასთან.

თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

ხელ-მოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ: მან. | კაპ. | გაგზავნით: მან. | კაპ. |
| --- | --- | --- | --- | --- |
| ერთის წლისა თფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში | 6 | „ | 7 | „ |
| ნახევრის წლისა | 3 | 50 | 4 | „ |
| სამის თვისა | 2 | „ | 2 | 50 |
| ერთის თვისა | „ | 75 | 1 | „ |

შინაარსი:

განცხადება „დროების“ გამოცემაზე ამ 1871 წელ. საქართველო: „დროებისა და „მნათობის“ ღონის-ძიება და საზოგადოების თანაგრძნობა ლიტერატურისადმი.— რუსეთი: — წვრილი ამბები.— ომის ამბები — უცხო ქვეყნები: ესპანია,— საფრანგეთი.— ამ კვირის ტელეგრამმები. — ნარევი.— განცხადებები.—
ფელტონი: რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან.— თ. რაფ. ერისთვისა.

# საქართველო

### „დროების“ და „მნათობის“ ღონის-ძიება და საზოგადოების თანაგრძნობა ლიტერატურისადმი.

როდესაც ჩვენმა საზოგადოებამ პირველათ დაინახა „საქართველოს მოამბე“, როდესაც ძლივს ეღირსათ ქართველებს სამშობლო ენაზე დაწერილი საფუძვლიანი ჟურნალი, შეიძლიან ესთქვა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ეს ჟურნალი მიიღო დიდის მხიარულებით, დიდის სიამოვნებით.—მაგრამ ეს მხიარულება იყო ჭეშმარიტი და ჰქონდა ამ მხიარულებას წმინდა პატრიოტული გრძნობა საფუძვლათ, თუ არა? ჩვენდა სამწუხაროთ, უნდა ვსთქვა, რომ ყოველი ახალი საქმე, დაწყებული ქართველების საზოგადოებაში, მიიღება საზოგადოებისგან ფრიადის მხურვალებით და პატრიოტულის გრძნობის გამოცხადებით; მაგრამ, როდესაც ეს ახალი საქმე ძველდება, როდესაც ეს ახალი საქმე უნდა იმედოვნებდეს მომატებულათ საზოგადოების თანაგრძნობაზე, მაშინ ჩვენი საზოგადოება ანებებს თავს ყოველს საქმეს, სტოვებს უყურადღებოთ და ამ გვარათ საქმე დაწყებული საზოგადო თანაგრძნობით და შემწეობით, რჩება დაუსრულებელი, ყოველი მისი მიზანი ეკარგება ჩვენის საზოგადოების გულ-გრილობის გამო.

შემდეგ „საქართველოს მოამბისა“ თფილისში დაფუძნდა ქართული პერიოდიკული გაზეთი—„დროება“. ამ გაზეთის გამოცემაზედაც საზოგადოება ჩვენი მოვიდა აღტაცებაში: „ვმადლობთ ღმერთს, ამბობდა საზოგადოება, რომ ჩვენში მაინც კიდევ არ დაკარგულა სიყვარული ქართული ლიტერატურისა, რომ მაინც კიდევ ჩნდებიან რამდონიმე პირნი, რომელთაც სურთ წარმატებაში შეიყვანონ ჩვენი ლიტერატურა“. ამ დროებითი თანაგრძნობის გამო, „დროების“ ხელის-მომწერლების რიცხვი ავიდა პირველ წელიწადს თითქმის ოთხასამდინ. — ყოველ მხრიდან „დროებას“ მოსდიოდა ადრესები ხელის—მომწერლებისა, ყოველ კუთხეში, საითკენაც კი მიიხედავდი, თვითოეული პირი „დროებას“ აღტაცებით კითხულობდა.— მხოლოდ მაშინ დაიწყო ჩვენმა საზოგადოებამ კითხვა და შეტყობა პოლიტიკურის ამბებისა, რომელნიც მანამდინ იყო მიტოვებული, მხოლოდ მაშინ გაიგო საზოგადოებამ—როგორი მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა მოძრაობას სახელმწიფოებში და როგორი კავშირი აქვთ ერთმანერთში ამ სახელმწიფოებს.—

მაგრამ გამოვიდა სამიოდე ნომერი ამ „დროებისა“, და ესეც დაგვიძველდა.—ხომ მოგეხსენება, მკითხველო, რომ ახალი ტანთსაცმელი უფრო სასიამოვნოა ყველასთვის და როდესაც ჩაიცვამ, ასე გგონია, ყველა შენ გიყურებს.—„დროებაც ამ მდგომარეობაში იყო: ვინამ დაგვიძველდებოდა ეს გაზეთი, მანამ ყველას გვიხაროდა და შევხაროდით ყოველ მის ნომერს; მაგრამ, როდესაც გადავიკითხეთ სამიოდე ნომერი ამ გაზეთისა, შემდეგი ნომრების წაკითხვა ჩვენ მოგვწყინდა. „რა უნდა წავიკითხო, ამბობდა ქართველი, „დროებაში“, ან რათ უნდა გამოვიწერო, როდესაც მე იგივე ამბავს ვკითხულობ რუსულ გაზეთში? „განა მნიშვნელობა ლიტერატურისა, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, მკითხველო, რომ წაიკითხო ის ამბავი, რაც სხვაშიაც სწერია? განა ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არის კარგი, ვინამ არ მოგვწყინდება მისი კითხვა? სცდები, ქართველო! თუ შენ ნამდვილათ გიყვარს შენი სამშობლო ლიტერატურა, თუ შენ ხარ შთამომავალი იმ ქართველისა, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა თავის ენის დაცვას, შენ გულმოდგინებით და მხურვალებით უნდა უყურებდე ყოველ საზოგადო საქმეს და მეტადრე ლიტერატურას, რომელზედაც არის დამყარებული მომავალი ჩვენი ცხოვრება და წარმატება.

ყოველგან, სადაც საზოგადოება იმ მდგომარეობაშია, როგორც ჩვენში, არა საქმე არ დაიწყება ისრე, რომ ნაკლულევანებს არა ჰქონდეს რა; საქმე ამ გვარ საზოგადოებაში იწყობა დიდის გაჭირვებით; ამისთვის თუ „დროებას“ ანუ „მნათობს“ ხან და ხან დაუშავებია რამე საზოგადოებისთვის და ვერ აუსრულებია თავისი მნიშვნელობა, ამის მიზეზიც უნდა იყვეს თვითონ საზოგადოება.—რათა? იტყვის ქართველი. განა ჩვენ დანაშაულნი ვართ, რომ ქართულს ენაზედ უფრო ვრცელის პროგრამით არ გამოდის არა გაზეთი საქართველოში? სწორეთ მართალს ამბობ, ქართველო.— შენ ხარ დამნაშავე და შენის დანაშაულობის მიზეზი არის შენი გულ-გრილობა, აუსრულებლობა შენის სიტყვისა.—როგორ აუსრულებლობა ჩემის სიტყვისა?—გაცხარდება ქართველი და მკითხავს. მაგრამ მოითმინე და ყური დამიგდე.—ჯერ უნდა გკითხო, პატივცემულო მკითხველო: რა ღონის ძიებით უნდა გამოდიოდეს ყოველი გაზეთი, ანუ ჟურნალი?— ხელის-მომწერლების ფულით, მეუბნები შენ. ახლა, როდესაც ხელს აწერ და მოგდის გაზეთი ანუ ჟურნალი, ფასი უნდა მისცე, თუ არა?—თუ მომდის და ვკითხულობ, მეუბნები შენ, უნდა მივსცე, რადგანაც ყოველი შრომა კაცისა უნდა დასაჩუქრდეს.—ჰო, აბა კიდეც ეგ არის საჭირო და აღარც გადათქვა, თუ ღმერთი გწამს;—ხომ შენ თვითონ აღიარე, რომ შრომა კაცისა უნდა დასაჩუქრდეს. ახლა ვნახოთ, როგორ ასაჩუქრებ და ასაჩუქრებდი შენ „დროებას“ ანუ „მნათობს“.— ყოველი ჩემი საბუთი, რომელსაც წარმოგიდგენ, იქმნება დამტკიცებული ფაქტებით და შენ ვერსად წაუხვალ ამ ფაქტებს. ეს ფაქტები დაგარწმუნებენ, რამდენათ არის გავრცელებული ჩვენში კითხვა ქართულის გაზეთებისა. იმედი მაქვს, უარს არ ჰყოფ ამ ფაქტების მიღებაზე და თუ არ მიიღებ—ესეც შენი ნებაა. დავიწყებ ჯერ „მნათობიდან“.—„მნათობის“ რედაქციამ როდესაც გამოაცხადა ამ ჟურნალის გამოცემა 1869-ს წელს, ხელის-მომწერთ რიცხვი შესდგა 179 პირი. ერთის შეხედვით ეს რიცხვი თითქოდე საკმაო არის;

# ფელტონი

### რამდენიმე სურათი
### ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან

X

(სამსაჯულო მომრიგებელის მოსამართლისა.)

მომჩივანი. აქა ბძანდება ბატონი? (მაყურებელ საზოგადოებაში სიცილია.)

მსაჯული. ვინა გნებავდათ, რა გნებავდათ?..

მომჩივანი. რაღა რა მნებამდა, ბატონო, ამ დროული კაცი გამლანძღეს და გამთათხეს...

მსაჯული. ვინ გაგლანძღათ?

მომჩივანი. ვინა და ბოჯასპირ ქერთლიანმა.

მსაჯული. როდის?

მომჩივანი. სულ ახლა, ა...

მსაჯული. თქვენ ვინა ბძანდებით?

მომჩივანი. მთხოვნელი გახლავართ...

მსაჯული. არა!.. თქვენი სახელი და გვარი?

მომჩივანი. საჩინო ბრეგაძე გახლავარ.

მსაჯული. რა ჩინი გაქვთ.

მომჩივანი. რათ გნებამთ, ბატონო, ჩემი ჩინი?.. მე სამართალსა გთხოვთ.

მსაჯული. ასეა წესი, საჭიროა.

მომჩივანი. ადლერი რომ ევიღეთ, „პაპრომიკობა“ მაშინ მივიღე და მას აქეთ, ქარები რომ არ გამჩნოდა ფეხებში და ჩხუბებში მეელო, აქამდინ „პონკოლიკი“ ვიქნებოდი!..

მსაჯული. დალოცვილო, ჯერ სულ არასა ბრძანებდით და ახლაკი, რაც საჭირო არ არის, იმასაც კი ლაპარაკობთ.... საიდანა ბრძანდებით?

მომჩივანი. აგერ გახლდით, ბაზარში!.. ერთი ცახე საქმე მქონდა...

მსაჯული. არა... რა სოფლიდგან, ანუ ქალაქიდგან და რომელი მაზრიდგან?..

მომჩივანი. აგერ გახლავართ, სულ ახლო... (დაასახელებს სოფელსა და მაზრას. მერე მიუბრუნდება საზოგადოებას:) აწი ისიც ხომ უნდა მკითხოს, რამდენი წლისა ხარო?... მგონია, კანონში ისთე სწერია?... (მსაჯული შემოიწევს მოპასუხს.)

მოპასუხე. (მსაჯულს) ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა...

მსაჯული. თქვენა ბძანდებით ბოჯასპირ ქერთლიანი?..

მოპასუხე. ჰო, ბატონო!

მსაჯული. თქვენ გიჩივათ საჩინო ბრეგაძე; ვითომც გაგელანძღოსთ... დანაშაულათ ჰპოვეთ თქვენს თავს, თუ არა?..

მოპასუხე. ა!.. რავა ვკადრებდი რასმეს?!..

მომჩივანი. (თავისთვის.) დახე, დახე, რავარ „ატკაზზედ“ დადგა?!...

მსაჯული (მომჩივანს). რა გკადრათ?

მომჩივანი. რავა ითქმის!.. შენ არ მოუკვდე საჩინოს, მე აქ იმისი თქმა ვერ გავბედო..

მსაჯული. (მომჩივანს) უნდა ვიცოდეთ, რა სიტყვით გეგაუპატიურათ... თუ სამარცხვინო სიტყვაა, საზოგადოებას დაეთხოვე და ისე ბძანეთ.

მომჩივანი. ა!.. მე მინდა რომ ყველამ გაიგოს—რავა დაისჯება ჩემი გამლანძღავი...

მსაჯული. მაშ, ბრძანეთ, რა გკადრათ?

მომჩივანი. რა მკადრა?.. რა მკადრა და... ძაღლუანი ბრანწი!... (საზოგადოებაში იცინიან.)

მოპასუხე. (თავისთვის) თავს ლაფი დაასხი მაგის მთქმელს!..

მომჩივანი. ა, ბატონო!.. აჰა!.. თქვენთანაც მლანძღავს...

მსაჯული. (მოპასუხეს) თქვენ ჰკადრეთ საჩინოს უშვერი რამე?..

მოპასუხე. აი, ბატონო, სულ ასე ცილს მწამებს!.. მე ვთქვი: თავს ლაფი დაასხი მაგის მთქმელს-თქვა.. თუ მე მეკადრებინოს-თქვა, და ეგ კი ცილს მწამებს..

მომჩივანი. (მოპასუხეს) ბოშოვ, აბა ის ბრანწი რა იყო?..

მსაჯული. (მომჩივანს) მოითმინეთ!

ამაზედაც დაგეთანხმები; ვსთქვათ, რომ ის შემოსავალი, რომელიც უნდა შემოდიოდეს ხელის-მომწერლებისგან სრულებით საკმაოა იმ ჟურნალის გამოსაცემათ, როგორც „მნათობი“. თითო ხელის მომწერმა უნდა მისცეს წელიწადში რვა მანათი.—მაშასადამე 179 ეგზემპლიარისა სულ შესდგება 1432 მან.—მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ რიცხვში ურევიან ის პირნი, რომელთაც იმათის სიღარიბის გამო მუქთათ უგზავნის რედაქცია.—მაშასადამე ამ 179-დან უნდა გამოვრიცხოთ 33 პირი ანუ 1,432 მანეთიდამ 264 მან.—სულ შესდგება შემოსავალი „მნათობისა“ 1,168 მან.—აი, ამ მცირე შეძლებით უნდა გამოიცეს ჟურნალი.—მაგრამ ნამდვილი შემოსავალი ამ ჟურნალისა ბევრით უფრო მცირეა, მისთვის რომ ხელის-მომწერლებთაგანში ბევრს არ გაუგზავნია წლის ფასი.—ასე, მაგალითად, 1869 წელს „მნათობს“ სულ ჰყავდა 146 ხელის-მომწერნი, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ მიეცათ ფასი; მაგრამ ამ 146 ხელის მომწერში, არ მიუციათ ფასი 36 პირს ჯერ დღევანდლამდისინაც, რომელიც უნდა მიეცათ ამ ორის წლის წინათვე. მაშასადამე ამ 36 ხელის-მომწესლების ფასიც უნდა გამოვრიცხოთ 1,168 მანეთიდამ და დანარჩენი შეადგენს ნამდვილს შემოსავალს „მნათობისას“.—დარჩება სულ 920 მან. აი ნამდვილი შემოსავალი „მნათობისა“, აი დაპირება ჩვენის საზოგადოებისა, აი სადა სჩანს ნამდვილი აღსრულება ქართველის სიტყვისა.—ახლა, სწორეთ ღირს ვკითხოთ მკითხველს: შეიძლება 920 მანეთათ ყოველთვის შეუბრკოლებრივ გამოდიოდეს რომელიმე ჟურნალი, ანუ გაზეთი?—სრულიად არა. აი, ამის დამნაშავე ხარ, ქართველო, მისთვის რომ საქმე ჟურნალისა ანუ გაზეთისა არის შენი საქმე და საქმე შენი, საზოგადოებისა,—არის საქმე გაზეთისა, ჟურნალისა. ერთიც და მეორეც უნდა მიდიოდნენ, უნდა სცხოვრებდნენ ერთის სულით, ერთის აზრით. ყოველი წარმატება ჟურნალისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ლიტერატურისა კარგათ იმოქმედებს საზოგადოებაზე და წარმატება ლიტერატურისა საზოგადოებაზე; ასე რომ ერთი უმეორეოთ ვერ იცოცხლებს და, თუ საზოგადოება ყურს არ უგდებს ლიტერატურას, თუ საზოგადოება ჰპირდება შემწეობას და მერე აღარ აღსრულებს პირობას, თუ საზოგადოებაში სჩანან რამდონიმე პირნი, რომელთა შრომა ამისთვის სასარგებლოა და შემწეობას კა არ აძლევს—ეს ამტკიცებს, რომ საზოგადოებას არ ესმის თავის მნიშვნელობა ლიტერატურაში, და ლიტერატურისა საზოგადოებაში, ანუ, მოკლეთ ვსთქვათ, საზოგადოება დაცემულია.—როდესაც სხვა სახელმწიფოების ყოველ სოფელში, ყოველ მცირე და დიდს ქალაქში გამოდის რამდონიმე ჟურნალები და გაზეთები, როდესაც ყოველი საზოგადო საქმე იბეჭდება ჟურნალში და გაზეთში საფუძვლიანათ გამოკვლევისათვის, როდესაც ყოველ გარეშე კაცს სურს ჰქონდეს თავის ენაზე ჟურნალი ანუ გაზეთი, ჩვენში ყოველი ეს დაფარულია, დიმარხულია. ჩვენში არა სჩანს არა თუ სიყვარული სამშობლო ლიტერატურისა, არამედ საზოგადო სასარგებლო საქმეც ყოველთვის მიყრუებულია. ჩვენში არ არის ის სურვილი, რომლის ძალით საზოგადო საქმე წარმატებაში მიდიოდეს. წინააღმდეგ იმისა ჩვენ ვხედავთ ყოველ საქმეში რეგრესს და არა პროგრესსა. ჩვენ თვალში არა აქვს მნიშვნელობა არა საზოგადო საქმეს. რა მაზეზით, ქართველო? აბა, თუ იტყვი?—ეჰ. ნეტავი შენ, საქმე არა გაქვს? ქვა ქვას რომ ეცეს, კლდე კლდესა, მე არა მიჭირს რაო, ამბობს ქართველი. კიდეც მაგაში მდგომარეობს საქმე, ქვა ქვას რომ ეცეს და კლდეს კლდე, უეჭველათ შენც შუაში მოჰყვები და შენ კი არ იცი ეს. შენ კი ამას ვერ მოიფიქრებ. მაგრამ გვეყოფა მე და შენ ამდენი ხუმრობა,-იქნება ამისთანა ჩვეულებრივი მასხარობაც გვეუპავდეს მე და შენ! ვინ იცის?

მე ზევით ვსთქვი, რომ ყოველ საქმეში სჩანს რეგრესი. ავიღოთ, მაგალითად, ისევ მდგომარეობა „მნათობისა. 1869 წელს ვიცით რამოდენი შემოსავალიც ჰქონდა მას, ახლა ვნახოთ 1870-წ. ამ უკანასკნელ წელში „მნათობს ყავდა ხელის მომწერლები 194 პირი.—აი, თუ არ გვიყვარს სამშობლო ენა, ამბობს მკითხველი: 1869-ში ხელის მომწერლების რიცხვი იყო 179, მაშასადამე 1870 წელს უფრო მოუმატნია და ამითი ვამტკიცებთ, რომ "მნათობს„ ამ წელს მეტი შეძლება ექნება.—მოითმინე პატარა ხანს, ნუ აჩქარდები, საქმე ის ხომ არ არის, რომ ხელის მომწერთა რიცხვი მოემატა; ვნახოთ შედეგი. ამ 194-დამ უნდა გამოვრიცხოთ, როგორც პირველშივე 16 ხელის-მომწერი, რომელთაც მუქთათ მისდიოდათ, სიღარიბის ან სხვა მიზეზის გამო; დარჩება სულ 178.- აი ნამდვილი რიცხვი. შემოსავალი ამ რიცხვის დაგვარათ არ უნდა შემოდიოდეს? დიახ, ამბობს ქართველი, და ვაძლევთ კიდეც.- აბა როდის მიეცი, როდესაც ამ 178-დან ჯერ არ მიუციათ და რედაქციასაც არ მიუღია 75 ხელის მომწერლებისგან. სჩანს, რომ თითქმის მესამედს მუქთათ მისდიოდა, თუმცა ფასი კი უნდა მიეცათ. სჩანს, რომ ნამდვილი შესავალი და ღონის-ძიება „მნათობისა„ იყო არა 178, არამედ 103 ხელის მომწერი.-ახლა, ხომ ხედავ, რომ რამდენიც დრო გადის იმდენათ უკან მიდის სიყვარული ქართული ლიტერატურისა. 1869-ს „მნათობს“ ჰქონდა ნამდვილი შემოსავალი 920 და 1870-ს წელს—824 მანათი. აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ საზოგადოებას ჰმართებს მნათობისა 1869—70 წლისა—868 მანათი.—ეს ჯამი, როგორც სჩანს, არ არის დიდი, მაგრამ ის შედეგი, რომელიც მოაქვს ამ ფასის მიუცემლობას, ლიტერატურისთვის უფრო მეტია.—

ჩვენ გამოვიკვლიეთ—რამდენი შემოსავალი აქვს „მნათობს“ და რამდენი დარჩა მიუცემელი ფასი მისი. ეხლა ვნახოთ, როგორ გავრცელებულია კითხვა ქართულის წიგნებისა საზოგადოებაში: 1869-ს წელს გამოდიოდა „მნათობი“ 179 ეგზემპლიარი. მივიღებთ რა ყურადღებაში მას, რომ ქართული ჟურნალები და გაზეთები მისდით მხოლოდ ქართველებს, ჩვენ დავინახავთ შემდეგ ფაქტს, ფრიად შესანიშნავს: სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ ტფილისის ღუბერნიაში ქართველები არიან 336,000. საკუთრად ტფილისის გუბერნიაში იმ 179 ეგზემპლიარიდან გამოიცემის 101 ეგზემპლიარი; 336,000 უნდა გავყოთ 101-ზე და ვნახავთ, რომ ტფილისის ღუბერნიაში 3,326 კაცზე გამოდის ერთი ეგზემპლიარი, ესე იგი 3,326 კაცი აძლევს წელიწადში შვიდ მანათს, რომელიც შეადგენს ერთს კაცზე ერთის კაპეიკის მეექვსედს ($1/6$ კაპეიკისა).—მაშასადამე, უნდა შეიყარნენ ექვსნი კაცნი და მოჰკრიფონ ერთმანეთში ერთი კაპეიკი, რომ ერთი ნომერი წაიკითხოს.—1870-ს წელს გამოდიოდა „მნათობი“ 194 ეგზემპლიარი: აქედან ტფილისის ღუბერნიაში ვრცელდება 106 ეგზემპლიარი, რომელიც შეადგენს, თუ გავყოფთ მცხოვრებლების რიცხვზე, 3,169 კაცზე ერთს ეგზემპლიარს.—

გაზეთის „დროების“ მდგომარეობა ვნახოთ ახლა.—ჩვენდა სამწუხაროთ, არ შეგვიძლიან ვაჩვენოთ მკითხველს მისი მდგომარეობა 1866 წლიდგან, მაგრამ რაც არის-ისიც საკმაოა, რომ ნახოს მკითხველმა მისი გარემოება.- „დროებას“ 1868-ში ჰყავდა 330 ხელის-მომწერი.—ეს რიცხვი „მნათობის“ ხელის მომწერლების რიცხვზედ მეტია, მაგრამ ეს ღონის ძიებაც არ არის საკმაო მისთვის. ამასაც ჰყავს ხელის მომწერლებათ წევრნი ჩვენის საზოგადოებისა, რომელთაც უყვართ დაპირება და აღსრულება კი ღმერთმა დაიფაროს. ქართველი იტყვის, რომ 330 ხელის მომწერი ძალიან ბევრია „დროებისთვისო“. თანახმა ვარ, მაგრამ ეს ღონისძიებაც საკმაო იქნება მაშინ, როდესაც დანიშნულ დროზე მიიღებს. 330 ხელის მომწერლებთაგანში არ მიუციათ დანიშნული ფასი ჯერ დღევანდლამდისინაც 76 პირს, მაშასადამე „დროებას“ 2,310 მანეთის მაგიერ მიუღია მხოლოდ 1,708 მან. და დანარჩენი 602 მან. ირიცხება ხელის მომოწერლეგზე. მაგრამ 1870-ში ჩვენ ვხედავთ უფრო გასაოცებელ საქმეს. ამ უკანასკნელს წელს, არა თუ ნახევარს ხელის მომწერლებთაგანს არ მიუციათ ჯეროვანი ფასი, იკლო აგრეთვე ხელის მომწერლების რიცხვმაც. აგე, მაგალითად, 1870 წელში გამოდიოდა 243 ეგზემპლიარი; ამათაც სრულათ რომ მოეცათ დანიშნული ფასი, მაინც კიდევ შესდგებოდა იმდენი, რაც 1868 მიიღო „დროების“ რედაქციამ; მაგრამ 243 პირის მაგიერ მისცა მხოლოდ 122 პირმა, მაშასადამე სწორეთ ნახევარმა, ასე რომ „დროების“ რედაქციამ 1,701 მანეთის მაგიერ მიიღო 854 მან. აქედგან სჩანს, რომ ამ წელსაც დააკლდა ღონის-ძიება 847 მანეთით, და ორ წელიწადში 1868-ში და 1870 დააკლდა შემოსავალი 1,449 მან. მაგრამ მიიღე მხედველობაში, მკითხველო, რომ ეს 1,449 მან. არის მხოლოდ ორის წლის ზარალი და ჩვენ კი ვიცით, რომ „დროება„ გამოვიდა პირველათ 1866 წ.ლს, მაშასადამე უნდა გამოვიანგარიშოთ დანარჩენი წლებისაც.—თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დანარჩენ წელიწადებში ჩვენი საზოგადოება იყო იმავე ხასიათისა, როგორც 1870-ში, ვნახავთ, რომ ბევრათ მეტი დააკლდა. რამოდენი დროც გადის, იმდენი ხელის მომწერლები აკლდება „დროებას“; მაშასადამე წინა წელიწადებში ხელის მომწერთ რიცხვი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. პირველ წელიწადს —1866—მათი რიცხვი ნამდვილათ იყო ოთხასი—ამ ოთხასიდამ, ჩვეულებისამებრ არ მიუციათ ვსთქვათ მეოთხედს;—მაშასადამე ოთხასიდან უნდა გამოვრიცხოთ მეოთხედი—ასი,—ვნახავთ, რომ 2,800 მანეთის მაგიერ, მიიღო მხოლოდ 2,100 მან. და დანარჩენი 700 მან. ვინ იცის ვის ჯიბეშია. 1867 ჩვეულებისამებრ ხელის-მომწერთა რიცხვმა იკლო, ასე რომ ოთხასის მაგიერ მივიღოთ 350, აქედან გამოვრიცხოთ მეოთხედი: შესდგება 87 ხელის-მომწერი, რომელთაც აღარც კი აღსოვთ, ჰკითხულობდნენ თუ არა ამ წელიწადში „დროებას“; ამ წელსაც დააკლდა „დროებას“ შემოსავალი 609 მან., დაგვრჩა მხოლოდ 1869 წელი;—ამ წელსაც ვსთქვათ დააკლდა 75, რადგანაც ეს 300-ის მეოთხედია, რომელიც მე მივიღე ხელის მომწერლების რიცხვათ ამ წ.ლს. აქედგან სჩანს, რომ ამ ოთხს წელიწადს 1866—1870 დაჰკლებია 3,058 მან. მე ვგონებ, მკითხველო, არათუ „დროებისთვის“, შენთვისაც კარგია ეს ფული: ვინ იცის, რამდენჯერ გასწევდი ფაეტონით მუშტაიდში, ვინ იცის რამდენჯერ სასტუმროებში შეხვიდოდი და როგორ გაატარებდი დროს, ეს ფული შენ რომ გქონდეს ეხლა.—მაგრამ შენთვის ესეც არ არის საჭირო: ხუთი მანათიც რომ არ გქონდეს შენ ჯიბეში, მაინც კიდევ მუშტაიდისკენ მიიწევ; იქა სჯობიან ფულების მიცემა, ან ბილიარდში ან რამიმე, ვიდრე ქართულის ლიტერატურის სასარგებლოთ დახარჯვა.—მართალია?—გარდა ამ 3,058 მანათისა ჩვენ გვაქვს კიდევ „მნათობისა“—868 მან. ესეც რომ მიუმატოთ, ვნახავთ, რომ საზოგადოებაში არის დარჩენილი ორი-

---

მომჩივანი. (თავისთვინ.) დედა, დედა, რავა იმცრუა,... (მსაჯულს.) თქვენთან რომ ამას ჰბედამს...

მსაჯული. (მომჩივანს.) მოითმინეთ?.. თუ კიდევ ხმას ამოიღებთ, ჯარიმას დაგადებთ!..

მომჩივანი (ბუტბუტით) ჰაი რამ დაგვემართება!..

მსაჯული. (მოპასუხეს) გირჩევნიათ გამოსტყდეთ, თუ დანაშაული ხართ.. მაშინ შეგიმსუბუქდებათ საკანონო; და თუ თქვენით არ აღიარებთ და უიმისოთ დაგიმტკიცდათ დანაშაული, მაშინ საკანონო უმძიმესი გაგიჩნდებათ.

მოპასუხე. (მსაჯულს.) არა, ბატონო, რა შუაშია..

მსაჯული (მომჩივანს). თქვენ დამტკიცება გაქვსთ თქვენის საჩივრისა?

(მომჩივანი ხმას არ იღებს)

მსაჯული. (მომჩივანს) რატო არასა ბრძანებთ?

მომჩივანი. (მსაჯულს) რავა ღმერთი გამიწყრება, ხმა ამოვიღო, თავი რაზედ „დავისწრაფო?....“

მსაჯული. მაგაზედ კი არ მითქომს!... იმისთვის შეგნიშნეთ, რომ, როცა თქვენი რიგი არ იყო, მაშინ ლაპარაკობდით... აბა ახლა ბრძანეთ: რა დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ თქვენის საჩივრისა?

მომჩივანი. ჭვეყანა!.. იქ გახლდა გოგიელა სეფეიშვილა, გლახუნა ყლონტი.. ჩემი ფული მართებს თავსლაფდახმულის და არ მაძლევს... გიორგუნა შქერიძე... კანონით ხომ თორმეტი მოწამე უნდა, ბატონო?..

მსაჯული. ეგენიცა კმარა, მგრამ მოდი, ჯერ ერთი ეს ინებე:—შერიგდით!..

მომჩივანი. აჰ!. აჰ!. აპა, აპა, პ, პა, პა!.. რავა შეიძლება!..

მსაჯული. რატომ?.. უფრო ლირსეული არ იქნება, უფრო სახელოვანი?.. ამსთან რჯულიც მოითხოვს, როგორც სასულიერო, ეგრეთვე საეროცა.... (მოპასუხეს) მობრძანდით, თქვენც ბოდიში მოსთხოვეთ, თუ ჰგრძობთ თქვენს თავს დამნაშავეთ... ბოდიშის მოთხოვა სათაკილო არ არის.

მოპასუხე. ბატონო, თუთუნს ვსომდი, ტყუილა ჩემთვის გავაფურთხე და მაგას ზრანწი ჰგონებია...

მომჩივანი დედა! რა თქვა? დახე ამ პლუტს?!..

მოპასუხე (მსაჯულს.) დახედეთ, ბატონო, მლანძლავს!

მომჩივანი (მსაჯულის) მცრუობს, თქვენ ნუ მომიკვდეთ!.. აპა ფიცით გამისწორდეს და თუ გავმტყუნდები, ათასს მანათზედ ხელ მოვაწერ... ჰე!...

მსაჯული (მოპასუხს). მიბრძანდით, ბოდიში მოსთხოვეთ! ერთმანეთს აკოცეთ!...

ერთი დარბაისელი კაცი საზოგადოებიდგან. (მომჩივანს) ჰაია, საჩინო!.. გარიგდით, მსაჯული გთხოვთ... (მოპასუხეს) მიდი, ბოშო, შენც!..

მომჩივანი (მოპასუხეს ღიმლით). მოდი აქ, შე პლუტო, მოდი! მსაჯულის თხოვნას უნდა დავმორჩილდეთ, რა გაეწყობა, თვარა, მალე მტერი საჩინოს მოუკვდეს, მალე შენ დაგიმტკიცებდა შენს თავხედობას.. (მომჩივანი და მოპასუხე გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან.)

მსაჯული (გარიგების ქაღალდსა სწერს და საჩინოს ეუბნება მობრძანდით, შერიგების ქაღალდს ხელი მოაწერეთ.

მომჩივანი. (მსაჯულს) მე მიბრძანებთ?. წერამ ჭირი მოგჭამა!.. ქვე რა ვიცი მე წერა..

მსაჯული. მაშ წაბრძანდით.... მე დავამტკიცებ.

ერთი მაყურებელთაგანი (მომჩივან-მოპასუხეს:) მადლი... მადლი, შეკაცო!..

მომჩვანი. (მსაჯულს მდაბლათ თავს უკრავს) ღმერთმა შენი ჭირი მომცეს!.. (მომჩივანი და მოპასუხე გავლენ.)

თ. რაფ. ერისთავი.

ეესი, „მნათობისა“ და „დროებისა“ 3,926 მან. აქედან სჩანს, რომ „დროებას“ ჰქონია ღონის-ძიება არა იმდენი, რამდენსაც ჰფიქრობს ჩვენი საზოგადოება, ესე იგი 1866—1870—დინ შენის ფიქრით, მკითხველო, ჰქონია 11,361 მან.; მაგრამ ჩვენის ანგარიშით, რომელზედაც შენც თანახმა ხარ, მე ნამდვილათ ვიცი ჰქონდა მაგდენი კი არა არამედ 8,303 მან.—სჩანს, რომ თითქმის მეოთხედი შემოსავალი აღარ იცის კაცმა რა იქნა, სად დაიკარგა.

ვსთქვათ, რომ შენ, ქართველო, გაქვს გამართული რომელიმე მეურნეობა, რომლისგანაც შემოსავალი გაქვს წელიწადში 12,000 მან. ამ შემოსავლის იმედით, შენ უმატებ შენს მეურნეობას სხვა და სხვა შენობებს, რომელმანც უნდა მოგიტანოს რომელიმე სარგებლობა; ვსთქვათ, რომ შენ ასი დღის მაგიერ მოხანი ორასი დღის მიწა; მაშასადამე, იმედიც გაქვს, რომ ერთი ორათ მეტი გიქნება, მაგრამ მკის დროს ან გალეწვის დროს შეგემთხვა რომელიმე მიზეზი და ვეღარ მოუარე შენს მოსავალს. რა შედეგი ექნება შენს მეცადინეობას ანუ შენს ხარჯს, რომელიც მოუნდა შენს მეურნეობას; ცხადათ სჩანს, რომ სარგებლობა არა გექნებარა, არამედ უეჭველათ უნდა ალასრულო საქმე, რომელიც დაიწყე.—სხვას რა საქმე აქვს შენთან, თუგინდ წააგე, თუგინდ მოიგე: მუშა, რომელსაც ახვევინებდი, თავის შრომის ფასს მოითხოვს, მოსავლის ამკრეფი ანუ გამლეწი თავისას მოითხოვს და შენ გაქვს რამე ჯიბეში, თუ თაგვები გითამაშებენ, უეჭველათ უნდა დაასაჩუქრო. თუშენი დაწყობილი საქმე ცუდათ დაბოლოვდა, ცხადია, რომ სარგებლობას ვერას ნახავ, და ყოველი ხარჯი ჩაივლის ამაოთ. ამ გვარივე მდგომარეობაში დგანან ჩვენი პერიოდიკული გამოცემაებიც ჩვენს გამოცემაებს აქვსთ განსაკუთრებითი ღონის ძიება—ამ გამოცემაების ფასი. მაგრამ რამდენათ საიმედოა ეს ღონის ძიებაც, წამკითხველი ამ სტატისა თვითონვე განსჯის და ჩემგან აღარ მოითხოვს გამეორებას.

ეხლაკი ვნახოთ როგორ ვრცელდება საზოგადოებაში „დროება“.—1868 გამოდიოდა 330 ეგზემპლიარი, და მცხოვრებლების რიცხვი კი თფილისის ღუბერნიაში ქართველები 336,000.—ამ 330 ხელის მომწერლებიდგან უნდა გამოვრიცხოთ ის რიცხვი, რამდენთაც მისდით თფილისის გუბერნიაში „დროება“; თფილისის ღუბერნიაში გამოიწერება მხოლოდ 148 ეგზემპლიარი, ასე რომ თითქმის 2,269 სულზედ მოდის ანგარიშით 1 ნომერი „დროებისა“; აქედან სჩანს, რომ 2,269 კაცი აძლევს წელიწადში 7 მანათს, ესე იგი თითო კაცზე მოდის $^1/_4$ კაპ. მაშასადამე უნდა შეიკრიბნენ ოთხი კაცი და გამოიმეტონ მხოლოდ ერთი კაპ. რომ წლითი წლამდინ ჰკითხულობდნენ ყოველ კვირას თითო ნომერს „დროებისას“.—

უეჭველია, რომ საზოგადოების ამ გვარის თინაგრძნობით ჩვენი ლიტაერტურა ვერ ნახავს წარმატებას და შემიძლიან ესეც ვსთქვა, რომ სრულიად უსაფუძვლო მოთხოვნილება იქნება საზოგადოებისგან, რომ „დროება“ ანუ „მნათობი“ რატომ უკეთ არ ასრულებს თავის საქმეს;—წინააღმდეგ ამისა უნდა ვსთქვათ, რომ „დროება“ თავის მოვალეობას ასრულებს დიდის მეცადინეობით და თავის საქმის ერთგულებით.—ეხლა ვკითხოთ მკითხველს: ამ მცირე შეძლებით გამოვიდეს „დროება“, თუ დაისაჩუქროს იმ პირების შრომა, რომელნიც წინაუძღვიან ამ გაზეთს? არა მგონია, და თუ „დროება“, ანუ „მნათობი“, მაინც კიდევ არ იშლის თავისას და ყოველთვის ასრულებს თავის განზრახვას, ესეც უნდა მივაწეროთ მის რედაქციის განსაკუთრებით ენერგიას.—

ჩვენ აქამდინ გამოვიძიებდით მხოლოდ ჩვენის „დროების“ და „მნათობის“ ნივთიერებით ღონის-ძიებას. მივხედოთ ახლა მას, რომელ კუთხეში, რომელ მხარეს როგორ ვრცელდება.—ქალაქ ადგილას, სადაც ცხოვრება და გონებითი მხარე უფრო მეტათ გახსნილია, ჩემის ფიქრით, კითხვა გაზეთებისა და ჟურნალებისა უფრო მეტათ უნდა იყვეს გავრცელებული. ერთის შეხედვით, კაცი იფიქრებს, რომ ქალაქში დაარსებული ნამდვილი გონებითი ცხოვრება, რომელზედაც არის დამოკიდებული მდგომარეობა სამშობლო ლიტერატურისაც. რომ გაიხედო თფილისის ქუჩებში, გეგონება ყოველი კაცი ისე გართულია საქმეში, რომ საქმეს თავს ვეღარ ართმევს. იქნება ასეც იყოს, მე ამაზედ არ აუხირდები მკითხველს, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ კითხვა ქართულ ენაზედ დაწერილს გაზეთისა ანუ სხვა წიგნისა აგრეთვე მიტოვებულია, როგორც ყოველი მოწყენილი საქმე. მე ამის თქმას ვერ გავბედავდი და სწორე გითხრა, მკითხველო, სამწუხაროც არის ამ ფაქტის დანახვა; მაგრამ ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ისევ იმ ჭეშმარიტებას, რომელნიც გამომდინარეობენ ყოველ ფაქტიდან; ასე, მაგალითად, ქუთაისში 1869-ში იგზავნებოდა „მნათობი“ 40 ეგზემპლიარი, მეორე წელიწადს ამ რიცხვს არა თუ არა მოემატარა, არამედ დაიკლო თითქმის ერთი ორათ; 40 ეგზემპლიარის მაგიერ 1870-ს ქუთაისში იგზავნებოდა 29., თფილისში 1869 გამოდიოდა 68 ეგზემპ., 1870-ში 65 ეგზ.—აგრეთვე მომდინარეობდა „დროების“ გარემოებაც: თფილისში 1868-ში მოსდიოდათ მკითხველებს 84 ეგზ., წარსულ წელს—67 ეგზ. ეს გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილს, სადაც ცხოვრება მეტათ არის გახსნილი, სადაც კაცს უკით უნდა ესმოდეს მნიშვნელობა თავის ლიტერატურისა, იქ ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგს:—ჩვენ ვხედავთ, რომ სრულიად გულ-გრილათ უყურებენ თავის ლიტერატურას. ამ ფაქტზე საჭიროა მიაქციოს ყურადღება საზოგადოებამ.—ამ გვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან მცირედი რიცხვი კითხულობს ქართულ გაზეთებს და ჟურნალებს და ამათგანაც ნახევარ მუქთათ; მეორე ეს, რომ დროის მომდინარეობით მკითხველი „დროებას“ და „მნათობს“ მაინც ყოველთვის აკლდება, თუმცა ამათ რედაქცია მუქთათაც უგზავნის,—რომ წელიწადში ყოველი ჩვენგანი აძლევს რედაქციას „დროებაში“ კაპეიკის მეოთხედს,და „მნათობში“ კაპეიკის მეექვსედს.—ამ საგანზე ღირს დაფიქრება, მკითხველო, თუ შენთვის ესეც სამძიმო არ იქნება.

გრ. თარხან—მოურავი.

1870 წელს, იანვრის 6-სა

ქ. თფილისი.

---

# რუსეთი

## რა საფუძვლებით უნდა იხელმძღვანელოს იმ კომისიამ, რომელიც სამხედრო სამსახურის კანონების დასადგენათ არის დანიშნული.

(სამხედრო მინისტრის მოხსენება)

§ 1. ყოველი რუსის ქვეშევრდომისთვის მამულის დაცვა უწმინდესი ვალდებულება არის.

§ 2. არმიისა და ფლოტის შესავსებლათ ყოველ წელიწადს იქნება საზოგადო გამოწვევა იმ ყმაწვილ კაცებისა, რომელთაც სრული 21 წელიწადი შეუსრულდათ.

§ 3. კანონმდებელი წესით დამტკიცებული იქნება იმ ახალთ გამოწვეულების რიცხვი, რომელთაც ნამდვილ სამსახურში უნდა იმსახურონ.

§ 4. სამსახურში შესვლა გადასწყდება წილის ყრითა. სამხედრო სამსახურიდგან განთავისუფლებულნი მხოლოთ ისინი იქნებიან, რომელთაც ბუნებითი (ფიზიკური) რამე ნაკლულევანება აქვთ.

§ 5. დროებით განთავისუფლება სამხედრო სამსახურისაგან ძალიან იშვიათად შეიძლება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ვისაც წილი ერგო—დედის ერთაა, შკოლის მასწავლებელია ან სახალხო მეურნეობას ან წარმოებას რამ დააკლდება ამის გამოწვევით.

§ 6. არავის არა აქვს უფლება თავის მაგიერათ სხვა დააყენოს, ან თავი გამოისყიდოს სამხედრო სამსახურისაგან.

§ 7. გამოწვევულთა პირთა შ ვ ი დ ი წ ე ლ ი წ ა დ ი უნდა იმსახურონ სამხედრო სამსახურში. მ გრამ, თუ მშვიდობიანობა არის, გამოწვეულები ამ ვადიდგან მხოლოთ იმდენ ხანს იმსახურებენ არმიაში და ფლოტში, რამდენსაც მმართებლობა დაინახავს საჭიროთ; დანარჩენ დროს ისინი დროებით იქნებიან დათხოვილი.

§ 8. შვიდი წლის შემდეგ სალდათები ჩაერიცხებიან მ ო რ ი გ ი ს არმიაში ან ფლოტში, სადაც 8 წელიწადს ითვლებიან; მორიგის სალდათნი ამ რვა წლის გამმავლობაში მხოლოთ ომიანობა თუ იქნა, მაშინ გამოიწვევა. მშვიდობიანობის დროს, მორიგის არმიაში მოსამსახურეებისთვის დანიშნული იქნება დრო და ადგილი, საცა იმათ უნდა შეიყარონ თავი და ისწავლონ.

§ 9. განათლებული პირებისთვის სამხედრო სამსახურის გასაადვილებლათ და აგრეთვე არმიაში აფიცრების გასამრავლებლათ, ყველა ახალგაზდა განათლებულ კ ცებს შეუძლიანთ, 17 წლიდამ შემოკლებული ვად თ, თ ა ვ ი ს ნ ე ბ ი თ შევიდნენ სამსახურში.

§ 10. დანიშნული ვადის შემდეგ, თავის ნებით შესულ პირებს შეუძლიანთ: ან გამოაცდ ვინონ თავისი თავი-რომ ყოველი სამხედრო წესი აციან, თავი დაანებონ ნამდვილ სამსახურს და ჩაერიცხონ მორიგის ჯარში, ან აფიცრის ეგზამენი დაიჭირონ; მაშინ მიიღებენ აფიცრის ჩინს და ჩაერიცხებიან აფიცრებათ ან არმიაში, ან ფლოტში და ან მორიგის ჯარში.

§ 11. მორიგის ჯარში ირიცხებიან ყველანი, სანამ 36 წლის არ შეიქნებიან.

§ 12. მორიგის ჯარში შერიცხული მხოლოთ იმ შემთხვევაში განთავისუფლდება სამსახურისაგან თუ ა) ავათმყოფობის მოწმობა წარმოადგინა და ან ბ) თუ ისეთს სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურშია, რომელიც კანონით აღნიშნული იქნება.

§ 14. ყველა, ვინც ნამდვილ სამსახურში ან მორიგში არ ირიცხება და ვისაც თოფიარაღის ხმარება შეუძლია, ომიანობის დროს, შეიძლება გამოწვეულ იქმნენ უმაღლესი მანიფესტითა, რომელშიაც გამოსაწვევის ხნიანობა აღნიშნული იქნება.

§ 15. ა) რუსის ყაზახებისათვის, ბ) იმპერიის ზოგიერთი მაზრების სხვა ხალხებისათვის და გ) ფინლანდიის დიდი სამთავროს მცხოვრებლებისათვის სხვა ახ ლი სამხედრო კანონები იქნება გამოცემული.

სამხედრო მინისტრი, ღენერალ-ადიუტანტი

მ ი ლ უ ტ ი ნ ი.

---

სახალხო განათლების კარგათ წაყვანისათვის ჩერნიგოვის გუბერნიის ერთს ქალაქში თემობას აი რა გადაუწყვეტია: ყველა მამულის პატრონმა თითო დღიურ მიწაზე წელიწადში ორ-ორი შაური უნდა გად ხადოს და ამ ფულებიდგან შედგენილი ჯამით უნდა გაუმართონ ხელი სასოფლო შკოლებსა. ეს გადასახადი მანამ არ მოისპობა, სანამ იმდ ნი კაპიტალი არ შესდგება, რომ იმის სარგებლით 60 შკოლის გამართვა შესაძლებელი იქნება.

* * *

ერთს რუსულ გაზეთში სწერენ—ისმისო, რომ **ლაზარევის ინსტიტუტში** ამ მოკლე ხანს ზოგიერთი ცვლილებები უნდა მოახდინონო. სხვათა შორის იქაურ სტუდენტებს, კურსის გათავების შემდეგ, ის უფლებები ექნებათ, რაც უნივერსიტეტში კურს შესრულებულ სტუდენტებსო და პროფესორებსაც უნივერსიტეტის პროფესორების უფლება მიენიჭებათ. ამას გარდა აღმოსავლეთური ენები სამი წლის განმავლობაში უნდა ასწავლონ და სომხურს, ქართულს, არაბულს, სპარსულს და თათრულ ენებს გარდა, რუსული სიტყვიერების კათედრაც დაწესდება.

* * *

ოდესაში მომკვდარა გამოჩენილი პედაგოგი—უფ. კ. უშინსკი, რომელსაც ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა კარგათ უნდა იცნობდეს, რადგან იმის დაწერილი „Родное слово“ („მშობლიური სიტყვა“) და „Дѣтскій міръ“ („ბავშვების ქვეყანა“) შემოღებულია ჩვენ სასწავლებლებშიაც და ყოველ შკოლის მოწაფეს უჭირავს ხელში. ამ ორ სახელმძღვანელო წიგნს გარდა, უფ. უშინსკიმ დაწერა კიდევ—„Педагогическая Антропологія“, რომლის შესადარი რუ ულს პედაგოგიურს ლიტერატურაში არაფერი არ გამოსულა, და რომელიც ყოველ ბავშვის ამზრდელს მუდამ თვალწინ უნდა ჰქონდეს. ერთი სიტყვით, უფ. უშისკიმ ბევრი სარგებლობა მოუტანა ჩვენ ახალგაზდა მოსწავლეებს, ბევრი ბავშვების ტვინი და გონება გაათავისუფლა იმან გაფუჭებისა და დათურგვნისაგან, და ამისთვის შთამომავლობა პატივს სცემს იმის ხსენებას.

* * *

„მმართებლობის მოამბის“ სიტყვით, ეკატერინოსლავის გუბერნიის თემობას სახელოსნო შკოლების პროექტი შეუდგენია. ამ პროექტის ძალით, ეკატერინოსლავის გუბერნიის ყოველს ქალაქში, საზოგადოების ხარჯით, თითო სახელოსნო შკოლა უნდა გაიხსნას; საიდამაც გამოვლენ წერა-კითხვის მცოდნე მოხელე კაცები. თითო შკოლაში ამ თავით ათ ყმაწვილზე მეტს არ მიიღებენ. აქ ასწავლიან: მჭედლობას, ხურაობას, მებელის, აგურის და ფეჩების ხელობას. ამ შკოლისთვის ეკატერინოსლავის თემობამ დანიშნა 24 ათასი მანეთი.

* * *

ოდესის გაზეთში სწერენ, რომ კოსტანტინეპოლსა და ოდესას შუა შავი ზღვის ქვეშ ტელეგრაფის გაყვანას აპირებენო. ამ საქმეზე პეტერბურღში და კოსტანტინეპოლში არის ამ ჟამათ მოლაპარაკება და მოკლე ხანში იმის სისრულეში მოყვანას შეუდგებიან.

---

# ომის ამბები

წინათ სწერდენ, რომ, თუ ყუმბარების დაშენისაგან, ან შიმშილისაგან ძალიან გაჭირება მიადგა პარიჟს, მაშინ **ტროშუ მონ—ვალერიანის** ფორტში თავის ჯარით აპირებს შემწყვდევას და იქიდამ იბრძოლებს ნემცებთანო· ახლა ერთს ბელგიურს გაზეთში სწერენ ამაზე, რომ გაჭ რება თუ მიადგა პარიჟს, ტროშუ, მონ—ვალერიანში გამაგრებას კი არა, ნემცების არმია უნდა გააპოს რომელსამე ალაგას დ გამოვიდეს პარიჟიდამაო.

— ერთი ინგლისური გაზეთის კორრესპონდენტს მოჰყავს საინტერესო ცნობები პარიჟის არმიაზე; იმის გამოანგარიშებით, ამჟამად პარიჟის ჯარში 520, 000 კაცია. ეს ჯარი განიყოფება სამ არმიათ: პირველი არმიის წინამძღომელია ღენერალი კლემან ტომა, მეორესი—დ უკრო და მესამესი—ვინუა. კლემან ტომას არმია ყველაზე უმრავლესია რიცხვით; აქ ითვლება 300,000 კარგათ დაიარაღებული და გაწვრთნილი სალდათი; ამათ მხოლოთ ზარბაზნები არ აქვსთ საკმაოთა, რომლებსაც ახლა ამზადებენ და არც ცხენოსანი ჯარი (კავალერია) ჰყავთ. ეს არმია შიგ პარიჟშია გაჩერებული. მეორე, დიუკროს, არმიაში 150,000 კაცია; ამ ხანებში კიდევ მოემატება ამ რიცხვს, ასე რომ 200,000 შეიქნება. კარგი

ცხენოსანი ჯარი, რასაკვირველია, არ ეყოლებათ ფრანცუზებს, რადგან სხვა პირუტყვის ხორცის უქონლობის გამო, ისინი ცხენის ხორცს სჭამენ; მაგრამ, ამბობენ, დიუკროს არმიაში ორი პოლკი კარგი კავალერია კიდევ არისო; ამას გარდა მეორე არმიას ზარბაზნებიც და სხვა არტილერიის მასალებიც ბლომათ აქვს. მკითხველმა იცის, რომ დიუკრო უმეტესი ნაწილი თავის არმიით, პარიჟს გარეთ დგას ვენსენის ტყეში; დანარჩენი ნაწილი მეორე არმიისა ფორტებსა და ფორტებს შუა დგას, აგრეთვე პარიჟს გარეთ. მესამე პარიჟის არმიაში, ვინუას არმიაში, 70,000 კაცია და ეს ჯარი ფორტებშია დაბანაკებული.

— უკანასკნელ დროს ხშირათ ისმის პარიჟში უკმაყოფილება იქაურ მმართებლობაზედ და განსაკუთრებით ტროშუზედ. იმას ჰკიცხავენ იმისთვის, რომ ვითომც ძალიან სუსტათ, შიშით და ხანდისხან წინდაუხედავათ მოქმედობსო. აი, მაგალითად, რასა სწერენ ამაზე ერთს პარიჟის გაზეთში: „რამდონიმე დღის წინათ გამოვთქვით აზრი, რომ პარიჟის არმია მუდამ დღე უნდა აწუხებდეს ნემცებს, და არასოდეს არ უნდა აძლევდეს იმათ მოსვენებასა. ამ ჟამად ჩვენ აზრზე საზოგადოებაც და ზოგიერთი ჩვენი გაზეთებიც დაგვეთანხმა. გაზეთი „Presse“ ამბობს, მაგალითად, რომ ჩვენი მმართებლობა გასაკიცხავია უმოქმედობისათვის. არ ვიცით, რას უცდის ტროშუ! გამბედავი მმართებლობა რომ გვყოლოდა, ჩვენ სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით დავეცემოდით ნემცებს, როცა იმათ აღმოსავლეთითგან დაუშინეს პარიჟს ყუმბარები.“ მეორე გაზეთი იწერება, რომ ზოგიერთი თვითონ მმართებლობის წევრებიც ემდურებიან ტროშუს, რომ ენერგიულათ ვერ მოქმედობსო. ამბობენ, ვითომ იმათ ერჩიოსთ ტროშუსთვის — სამსახურს თავი დაანებეო. მაგრამ ტროშუს ერთხელ კიდევ დაუჯერებია თავის ამხანაგები, რომ იმის პლანები უშველის საფრანგეთსა.

25 დეკემბერს (5 იანვარს), დილის 8 საათზე, ნემცებმა პირველათ დაუშინიეს ყუმბარები პარიჟის ფორტებს. სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ თითქმის ერთ დროს გააჩინეს ცეცხლი; აღმოსავლეთისაკენ ნოჟანისა და როსნის ფორტებსა და სამხრეთისაკენ — ვანვრისა, მონრუჟისა, და ისის ფორტებს. ნემცები ყოველდღე 20,000 ყუმბარას ისვრიან თურმე, და ამ რიცხვიდამ 2,000 ყუმბარა თვითონ პარიჟში ვარდება. გაზეთებში სწერენ, რომ ამ საშინელ ცეცხლს მაგდენი ზიანი არ მიუცია ჯერ ფრანცუზების ფორტებისთვის; მხოლოთ ნოჟანში კაზარმები დაუწვავს და ამას გარდა რამდონიმე სახლი დაუქცევია და კაცები მოუკლავს. ფორტებიდამ კი თითქმის სულ არ ისვრიან თურმე ზარბაზნებსა; როგორც ამბობენ, ფრანცუზები იმ დროსთვის ინახვენ ყუმბარებს, როცა ნემცებს შემოელევათ სასროლი. ვერსალიდამ იწერებიან ნემცები, რომ იანვრის პირველ რიცხვებში ჩვენ თითქის შევწყვიტეთ ზარბაზნის სროლაო, რადგან საშინელი ნისლი იყო და არა ფერი არა ჩანდაო. პარიჟის დროებითმა მმართებლობამ ამ ყუმბარების დაშენაზე პროტესტი გაუგზავნა ყველა ევროპის სახელმწიფოებს.

— მკითხველმა იცის, რომ ლუარის არმია ორლეანთან დამარცხების შემდეგ ლე-მანსში გამაგრდა, და აქედამ უნდა მიშველებოდა პარიჟსა. ეს მიშველება, რასაკვირველია, მხოლოთ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა კარლ-ფრიდრიხის და მეკლენბურლის გერცოლს დაამარცხებდა, რომელნიც შანზის წინ უდგნენ და არ უშვებდნენ პარიჟისაკენ. 25 დეკემბრიდამ დაწყებული ვიდრე 31 დეკემბრამდი (12 იანვრამდი) ფრანცუზებსა და ნემცებს შუა ლე-მანსის ახლო თითქმის გაუწყვეტელი ბრძოლა იყო და, როგორც უკანასკნელი ამბებიდამ სჩანს, ბოლოს 31 დეკ. ნემცებს გაუმარჯვნიათ. შანზი სწერს ამაზე ბორდოს მმართებლობას, რომ მე უკან დავიწიე, უფრო მოხერხებულ ადგილზე გავმაგრდები და ხელახლავ შევუდგები საქმესაო. ამ ექვსი დღის განმავლობაში ნემცებს 16 ათასი ფრანცუზი დაუტყვევებიათ და თორმეტი ზარბაზანი წაურთმევიათ. ერთი ნაწილი შანზის (ლუარის) არმიისა ამ ჟამად ალანსონში დგას და მეორე ლავალში (ორივე ეს ქალაქები ლე-მანსის დასავლეთისკენ არიან). ერთი ნახევარი ლუარის არმიისა, რომელიც ბურჟში მოშორდა შანზის და ბურბაკის ჩაბარდა წავიდა აღმოსავლეთს დიჟონისაკენ ბელფორის დასახსნელათ. გაზეთები და ტელეგრამები გვაცნობებენ, რომ ბურბაკი მარჯვეთ არის; იმან რამდონჯერმე დაამარცხა ნემცები და მონბელიარი წაართვა იმათა; მაგრამ ლუარის არმია, რომ არ გაყოფილიყო და შანზისა და ბურბაკის ერთად ემოქმედნათ, პარიჟის დასახსნელათ, მგონი უკეთესი იქნებოდა: მარტო შანზიმ, თავისი 200 ათასი ჯარით ვერ გაუძლო ფრიდრიხ-კარლს და მეკლენბურლის გერცოლს, რომელთაც იმაზე მეტი და უფრო გაწვრთნილი ჯარები ჰყავთ.

— 31 დეკემბ. (12 იანვ.) გამოცემულს პროკლამაციაში ტროშუ ამბობს, რომ ის არას დროს არ დაემორჩილება ნემცებს კაპიტულაციითა.

— იანვრის დასაწყისში გაცხარებული ბრძოლა ყოფილა ჩრდილოეთის საფრანგეთში მანტეიფელის (ნემცების) და ფედერბის (ფრანცუზების) არმიებს შუა, და თითქმის ყველგან ფრანცუზებს გაუმარჯვნიათ. იმათ დაუჭერიათ ისეთი ადგილები, რომელნიც წინეთ ნემცებს ეჭირათ, სხვათა შორის ბაპონი. ახლა ნემცები აღმოსავლეთისაკენ გაწეულან და კამბრესთან გაჩერებულან. საზოგადოთ, სამხრეთის არმიამ ისეთი წინააღმდეგობა გაუწია ნემცებს, რომ ისინი არ მოელოდნენ; სხვა არა იყოს რა, იმან დაარღვია მანტეიფელის პლანები, რომელსაც ნორმანდიაში წასვლა უნდოდა და იქ შერბურის არმიისთვის შანზისთან შეერთება უნდა მოეშალა.

# უცხო ქვეყნები

## ესპანია

აი რა ნაირათ არის აწერილი პრიმის მოკვლა ინგლისურს გაზეთს „ტაიმსში“: „28 დეკემბერს, საღამოს 7½ საათზე, კორტესების სხდომის გათავების შემდეგ, მარშალი პრიმი და ორი იმის ადიუტანტი ჩასხდნენ კარეტაში და წავიდნენ შინისაკენ. ერთი ქუჩა რომ გაიარეს და მეორეში უხვევდნენ, ზედ ამ მოსახვევში, იმათ დაუხვდა წინ ორი ფაეტონი, რომელმაც გზა გაუკავა. ერთი მინუტის განმავლობაში ამ ფაეტონიდამ გადმოხტა რამდონიმე კაცი, მიადგნენ პრიმის კარეტას, ორივე მხრით ესროლეს კარეტის ფანჯრებში და გაიქცნენ. გაიგონა თუ არა კუჩერმა თოფის ხმა, დაჰკრა ცხენებსა და საჩქაროთ გასწია სამხედრო სამინისტროსკენ, სადაც პრიმი იდგა. პრიმი გამოვიდა კარეტიდამ და ნელ-ნელა ავიდა კიბეზე; სისხლი ბლომათ დარჩა კიბეზე. შინ გამოაცხადა, რომ ის მსუბუქათ დაჭრილია ხელში. ერთი იმის ადიუტანტიც დაჭრეს. რეგენტ სერანომ იმ წამსვე შეიტყო ეს ამბავი და ნახა პრიმი; ერთი საათის განმავლობაში მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ პრიმი დაჭრეს. ხალხი ძალიან აღელვებული იყო. მესამე დღეს პრიმი მოკვდა.“

## საფრანგეთი

ერთი ბელგიური გაზეთის კორრესპონდენტი, 31 დეკემბერს, იწერება ბორდოდამ. „ამას წინეთაც ძალიან ცოტა უკმაყოფილება იყო სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს შუა და ახლა კი თითქმის სრულიად მოისპო. ლიონში, მარსელიაში და ტულუზაში, სადაც წინეთ არეულობაებიც მოხდა, ახლა სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს და ყველა მამულის დაცვაზე ჰფიქრობს. ერთი სიტყვით, საფრანგეთის მდგომარეობა ახლა უფრო საიმედოა, ვიდრემ ერთი თვის წინეთ იყო. თუ პარიჟმა ერთი თვე კიდევ გასძლო, ჩემი აზრით, მაშინ საფრანგეთი გამარჯვებული იქნება. აქ, ბორდოში, კი ყველა დარწმუნებულია, რომ ერთ თვეზე მეტსაც გასძლებს კიდევ პარიჟი. გამბეტა ეს არის ჩუმათ მოვიდა ლუარის არმიიდამ და, როგორც ამბობენ, ამაღამვე სადღაც წასვლას აპირებს. კაცმა არ იცის — სად და რისთვის მიდის ის. საზოგადოთ ყველაფერში ძალიან საიდუმლოთ მოქმედობს გამბეტა. მთელი საფრანგეთი, პარიჟს გარდა, ახლა იმის ხელშია და თვის ნებით მოქმედებს. ამ ჟამად ის არის სწორეთ საფრანგეთის დიქტატორი; იმან მიითვისა ყოველი უფლება. მაგრამ ამისთვის გამბეტაზე არავინ არ არის უკმაყოფილოთ. მაგრამ, თუ იმან ვერ გაიმარჯვა, თუ საფრანგეთს არ მიეცა შეღავათი, მაშინ რაღა უნდა ქნას? რამდენი უკმაყოფილება ატყდება, რამდენ პასუხის-გებაში იქნება: „შენ ჩაგაბარეთ, შენ მოგანდევეთ საფრანგეთის ბედიო, ეტყვიან, და აბა, როგორ დაეხმარე შენ გაჭირვებულ ქვეყანასაო?“

## ამ კვირის ტელეგრამები

ს. პეტერბურლი, 9 იანვ. ლონდონში ვერსალიდამ მივიდა ამბავი, რომ 7 (19) იანვარს სენ-კენტენთან ფრანცუზების ჩრდილოეთის არმია სრულიად დაამარცხეს ნემცებმაო.

ს. პეტერბ. 10 იანვ. პრუსიის ჩრდილოეთის არმია ქ. კამბრეს მიადგა.

— მონ-ვალერიანიდამ დაეცნენ ფრანცუზები ნემცებს, მაგრამ უკუქცეულ იყვნენ.

— ნემცებიდამ მოვიდა ამბავი, რომ ტროშუმ მორიგება მთხოვაო.

ს. პეტერბ. 11 იანვ. ნემცებმა აიღეს ქალაქი დოლი.

— დიჟონთან გაცხარებული ბრძოლაა: რიჩიოტი გარიბალდის გარს შემოერტყნენ ნემცები, მაგრამ იმან გააპო ჯარი და გავიდა. მენოტი გარიბალდი თავის ადგილზე დარჩა. ბრძოლა კიდევ არ გათავებულა.

— ამ საქმეზედვე ბორდოდგან იწერებიან: პრუსიელები დაეცნენ დიჟონს, მაგრამ ისინი ჩვენებმა უკუაქციეს; იმათ დაატოვებინეს ლაზარეთი და დაჭრილები.

ს. პეტერბ. 12 იანვ. ლილსა და კამბრეს (ჩრდილოეთით) ნემცებმა ზარბაზნები დაუშინეს.

ს. პეტრბ. 13 იანვ. დიჟონთან პრუსის ჯარი სრულიად დაუმარცხებია ფრანცუზებსა (ბურბაკის).

— ტროშუმ თავი დანება სამსახურს. ის დარჩა მარტო პარიჟის გუბერნატორათ.

## ნარევი

* * *

როგორც მმართებლობა, აგრეთვე კერძო პირებიც ხელს უმართავენ იმ **გაჭირვებულებს**, რომელთ რიცხვი ომიანობის გამო ძალიან გამრავლდა უკანასკნელ დროს **პარიჟში**. პარიჟში შემდგარა ერთი საზოგადოება, რომელიც მუდამ დღე 5,000 სადილს ურიგებს თურმე გაჭირვებულებს; ამას გარდა ისინი ტანისამოსსაც აძლევენ ღარიბებს. მარტო ერთ ინგლისელს 280 ათასი ფრანკი შეუწირავს ღარიბების სასარგებლოთ.

* * *

შესანიშნავია, რომ, თუმც **პარიჟს** გარეშემო არტყიან გერმანიის არმიები, მაგრამ პარიჟელები ყველაფერ **ამბავს ტყობულობენ**, რაც კი საფრანგეთის — პროვინციებში ხდება. ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს, უეჭველიაო, რომ პარიჟელებს რომელიმე საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ ყველაფერს ტყობულობენო. ამ გაზეთის სიტყვით. ამას წინეთ პარიჟში ისეთი ნავი გააკეთეს, რომელიც წყლის ქვეშ დაიარება. ამას გარდა სენის მდინარეში პარიჟიდამ ჰავრამდი რკინის ჯაჭვია გაყვანილიო. შესაძლებელია, რომ რომელიმე ამ ორი საშუალებით მოსდიოდეთ პარიჟელებს პროვინციებიდამ ახალი ამბებიო.

* * *

ერთს ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია გამოჩენილი მწერალი ქალის ჟორჟ ზანდის წიგნი, რომელიც იმას ერთი ინგლისელი ქალისთვის მიუწერია; მოგვყავს შემოკლებით ეს წიგნი: „21 ოქტომბერს მივიღე თქვენი წიგნი; მაგრამ, რასაკვირველია, მომიტევებთ, რომ ამდენი ხანი ვერ გაგეცით პასუხი: ჩემი ჭკუა და გული ამ ჟამად გართულია იმ უბედურებით, რომელიც ეწვია ჩემ სამშობლოს. თქვენ მწერდით წიგნს იმ დროს, როცა ნემცებს მეცი დაემორჩილა. ერთი თვის შემდეგ გაწვრთნილ არმიას მოკლებულ საფრანგეთში შესდგა ორი ახალი არმიები: ლუარისა და პარიჟის. ამ ჟამად ყველგან, სადაც არ გაიხედავთ, გროვდება ჯარი, სწავლობს სამხედრო წესს და ემზადება უკანასკნელ ღონისძიებამდი საომრათა. საფრანგეთს არ უნდა სიკვდილი: კათოლიკები და პროტესტანტები, კონსერვატორები და ლიბერალები, მეფობის მომხრეები და რესპუბლიკელები — ყველანი შეერთდენ; ყველას ერთი განზრახვა და სურვილი აქვთ ჩანერგული გულში: დაიცვან საფრანგეთი, და თუ იმის ბედმა არ გაჭრა, მაშინ ის ბრძოლაში უნდა დაიღუპოსო.“

* * *

როგორც მოგეხსენებათ, თითქმის მთელი ჯარი ნაპოლეონისა, თავის ღენერლებით, თოფიარაღით და ზარბაზნებითა, ნემცებმა წაიყვანეს ტყვეთ სედანში, მეცში და სტრასბურღში. ახლა ჩვენ საფრანგეთში კიდევ 800,000-მდე ფრანცუზებს ვხედავთ დაიარაღებულებს და აუარებელ ზარბაზნებსა. საიდამ გაჩნდა ყველა ესენი? როცა ხალხმა შეიტყო, რომ სამშობლო გაჭირვებაშია, ყველამ, ვისაც კი შეეძლო, თოფ-იარაღს მოჰკიდა ხელი. აი, რას სწერენ ამაზე ერთს ფრანცუზულ გაზეთში: არავინ არ დახმარებია ისე საფრანგეთს, როგორც ის კამისია, რომელიც თოფ — იარაღის და სხვა სამხედრო მასალაებს ჰპოულობს ჯარებისთვის. მარტო უკანასკნელი ექვსი კვირის განმავლობაში ამ კამისიამ იყიდა, სახელმწიფო ხარჯით, 430 ათასი თოფი და 70 მილიონი პატრონი, და წარუდგინა მმართებლობას; ამას გარდა იმან 600 საუკეთესო სისტემის ზარბაზანი შემოიტანა საფრანგეთში და აგრეთვე მმართებლობას გადასცა. ნაპოლეონის უკანასკნელმა მინისტრმა — გრაფ პალიკაომ კი, ერთი თვის განმავლობაში ოთხი ათასი თოფის მეტი ვერ შესძინა იარაღ ჩამორთმეულ საფრანგეთსა!...

* * *

პარიჟში მუდამ დღე ექვსას ორმოცდა ათ ცხენს კლავენ, მცხოვრებლების საჭმელათა. აქ გაუმართავთ ახლა ისეთი აეროსტატი, რომელსაც კაცი საითაც უნდა იქით წაიყვანს, რა მიმართულება უნდა იმას მისცემს; ამ აეროსტატს მალე აუშვებენ პარიჟიდამ; იმან პროვინციების ამბავი უნდა მიუტანოს პარიჟელებსა.

* * *

რიჩიოტი გარიბალდიმ ფრიდრიხ-კარლს გაუგზავნა წიგნი, რომელშიაც უჩივის ნემცებს — ცუდათ ეპყრობიან ფრანცუზის ტყვეებსო, განსაკუთრებით თავისუფალ მსროლელებს ისე ეპყრობიან, თითქო ისინი მართლა ავაზაკები იყვნენო. „იმ კაცს, რომელიც მამულის განთავისუფლებისათვის თავს იკლავს, ავაზაკივით არ უნდა მოექცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენც იძულებული ვიქნებით სასტიკათ მოვექცეთ თქვენ ტყვეებსა.


## განცხადება

უფალი სიმონოვიჩის მეუღლისაგან გამართულ „ყმაწვილების ბაღთან“ იხსნება პირველ დაწყებითი სასწავლებელი ქალებისა და ვაჟებისთვის, შვიდი წლოვანობიდგან ათამდის.

სასწავლებელი საგნები: სამღთო ისტორია, რუსული ენა, არითმეტიკა, დაკვირვებითი სწავლება, ფრანცუზული და ნემეცური ენა, ხატვა, წმინდა წერა, გალობა და ვარჯიშობა. ფასი წელიწადში ექვსი თუმანი და სამის თვისა წინათ უნდა შეტანილ იქნეს.

სასწავლებელი გამართულია კონსულის ქუჩაში, კრიჟანოვსკის სახლებში. სასწავლებლის გამმართველის ნახვა შეიძლება დილის ათი საათიდგან პირველამდის.

დუბილერის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში იყიდება:

**კრებული**, პირველი წიგნი. ფასი ათი შაური.

**საუკეთესო ცოდნა** ცხოვრებაში, თხზ. სობოლშჩიკოვისა. ფასი ხუთი შაური.

**დავითიანი**, თხზ. დავით გურამიშვილისა. ფასი ათი შაური.

**კაცია, ადამიანი**, თხზ. ილ. ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

**ბუნების კარი**, შედგენილი იაკ. გოგებაშვილისაგან. ფასი ცამეტი შაური.

**თ. გ. ერისთავის** თხზულებანი. ფასი ორი წიგნისა სამი აბაზი.

**გაბრიელ ეპისკოპოზის** სიტყვანი და მოძღვრებანი. ფასი მანეთ ნახევარი, სქელ ქაღალდზე — ორი მანეთი.

ვისაც ამ წიგნების მიღება უნდა ქალაქს გარეშე, ამ ადრესით მოითხოვენ: Въ Типографію Дубелира Г. (Церетели и К-о.)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Января 1871 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი